ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N38

ქ.თბილისი

29 მარტი, 2024 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს ოავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე
ვლადიმერ ბოჟაძე
საბა ბუაძე
ანა გოგოლაძე
არჩილ გორდულაძე
ოთარ გრიგოლია
მამუკა გუგეშაშვილი
ლევან დავითაშვილი
ირაკლი ემგვერაძე
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ზაზა თავაძე
ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ნინო კვიტაიშვილი
სალომე კობალაძე
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი
ნათია მოდებაძე
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე
რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე
დავით ფარცვანია
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ნინო წულაძე
ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ ბოლოთაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ნინო ბაგაშვილი, ოთარ ჩიტიძე;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე დავით ბოდოკია;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი დავით ჩანქსელიანი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განაცხადა, რომ 26 მარტს, საქართველოს ფეხბურთის ნაკრების გამარჯვებით ასრულდა ყველა ჩვენგანის და სრულიად საქართველოს ოცნება. თითოეულ მოქალაქეს მიულოცა საქართველოს ფეხბურთის ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლა, მადლობა გადაუხადა ქართველ ფეხბურთელებს იმ თავგანწირვისთვის, რომელიც მათ მთელი შეჯიბრის განმავლობაში შემოგვთავაზეს. მადლობა გადაუხადა ასევე, ფეხბურთის ფედერაციის გუნდს, რომელმაც ძალიან ბევრი იშრომა იმისთვის, რომ დამდგარიყო ეს შედეგი და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ფეხბურთის ნაკრები გააგრძელებს წარმატებულ ასპარეზობას და მომავალში კიდევ უფრო სასიხარულო შედეგებს მიაღწევს. გიორგი ტყემალაძემ ასევე, ისაუბრა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანზე, რომელსაც მიმდინარე სხდომაზე ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება სხვა სამსახურში გადასვლის გამო და დიდი მადლობა გადაუხადა მას საკრებულოში წლების განმავლობაში გაწეული განსაკუთრებული და გამორჩეული საქმიანობისთვის და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მისი საქმიანობა ახალ თანამდებობაზე ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც იყო თბილისის საკრებულოში.

მამუკა გუგეშაშვილმა სრულიად საქართველოს მიულოცა ფეხბურთის ეროვნული ნაკრების გამარჯვება, რაც, მისი თქმით, არის ძალიან დიდი წარმატება. იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ნაკრები წარმატებით იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატზე და ქვეყანაც ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ევროპის წევრი ქვეყანა. ისაუბრა ლევან ჟორჟოლიანზე, რომელზეც განაცხადა, რომ არის ღირსეული ადამიანი და წარმატებები უსურვა მას. მამუკა გუგეშაშვილმა საკრებულოს წევრებს მიულოცა ახალი ოპოზიციური პარტიის „ახალი“ დაარსება და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ის გახდება სახელისუფლებო პარტია. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ საზზონაში ერთ-ერთ ქუჩაზე მდებარე რამდენიმე კორპუსს მიენიჭა აპოლონ ჯინჭარაძის სახელი, რასაც მოსახლეობაში მოჰყვა დიდი უკმაყოფილება, რადგან საზზონა არის ისტორიული უბანი, სადაც 1968 წლიდან აშენდა ოცდარვა კორპუსი და აპოლონ ჯინჭარაძის დიდი პატივისცემის მიუხედავად, არასწორია ამ კორპუსებისთვის სახელდების ცვლილება. აქედან გამომდინარე, ნინო ვარდოსანიძეს, როგორც საკრებულოს სახელდებისა და.სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს  და ირაკლი ხელაძეს, როგორც ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, მიმართა თხოვნით, რომ საკრებულომ იმუშაოს და იმსჯელოს ამ კორპუსებისთვის ძველი სახელდების დაბრუნებაზე.

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ უერთდება იმ ძალიან დიდ სიხარულს და წარმატებას, რასაც მიაღწია საქართველოს ფეხბურთის ნაკრებმა და გააბედნიერა მთელი ერი. მადლობა გადაუხადა ფეხბურთის ფედერაციას იმ გარემოს შექმნისთვის, რაც იყო ქვეყანაში ტურნირის ჩატარების პროცესში და ფეხბურთელებისთვის შექმნილი პირობებისთვის და განაცხადა: „აუცილებლად უნდა ითქვას, რომ არავის არ ეცალა ამ ქვეყანაში ფეხბურთისთვის... 2015 წელს, თურმე, საქართველოს ნაკრებს, რომელიც მსოფლიოს და ევროპის შესარჩევ საკვალიფიკაციო ეტაპზე იღებდა მონაწილეობას, ელემენტარული წყლის ბოთლები და ინვენტარი არ ჰქონდათ. ამიტომ, ზუსტად ისეთი დამოკიდებულება, რაც ფეხბურთის ფედერაციამ გამოიჩინა, არის დიდი წარმატებების საწინდარი და აუცილებლად უნდა დაუფასოთ ამ ადამიანებს.“ ირაკლი ხელაძე გამოეხმაურა მამუკა გუგეშაშვილის მიერ საზზონაში ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და განმარტა, რომ ეს არ არის სტანდარტული პროცედურა, რასაც საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ახორციელებს, რადგან ეს არის საჯარო რეესტრისგან წამოსული აუცილებლობა, რომელიც დიდი ხნის წინ დაიწყო და განხორციელდა საკრებულოსგან დამოუკიდებლად. ამ ეტაპზე, საკრებულოს მხრიდან, მიმდინარეობს ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური მუშაობა და მოსახლეობის უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით, თუ პროცედურა მოგვცემს შესაძლებლობას, საკრებულო მაქსიმუმს გააკეთებს იმისთვის, რომ მოქალაქეებს არ შეექმნათ რაიმე პრობლემა.

ნინო ვარდოსანიძემ ყველას მიულოცა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების გამარჯვება, რაც, მისი თქმით, ნამდვილად მნიშვნელოვანი და ისტორიული შედეგია, რომელიც რჩება ისტორიას. ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს წარმატებები უსურვა, ხოლო საქართველოს უსურვა, რომ მომავალშიც იზეიმოს კიდევ ბევრი ასეთი წარმატება. ნინო ვარდოსანიძე გამოეხმაურა მამუკა გუგეშაშვილის გამოსვლას და ახალი პარტიის დაარსებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „სინამდვილეში, ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია. ამ შემთხვევაში ეს ახალი არც ისეთი ახალია და არც ისეთი დავიწყებული". ხოლო ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე განმარტა, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა არის ცალსახად საჯარო რეესტრის უფლებამოსილება და პრეროგატივა, ეს არ არის სახელდების პროცესი, სადაც ხდება უშუალოდ მოსახლეობის აზრის გათვალისწინება. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული არის შედარებით ტექნიკური ხასიათის სამუშაო, რადგან საჯარო რეესტრი თავად ნომრავს კორპუსებს, რათა მოქალაქეებისთვის იყოს უფრო ადვილად მისაგნები. რა თქმა უნდა, გასაგებია მოსახლეობის დისკომფორტი, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ამ შემთხვევას და მაქსიმუმი, რაც შეიძლება გააკეთოს საკრებულომ, არის ის, რომ განახორციელოს კონკრეტული კორპუსების მაცხოვრებლების ინფორმირება და თუ რაიმე ცვლილება იქნება განსახორციელებელი შესაბამის აქტში, განიხილოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ნინო წულაძემ საკრებულოს თითოეულ წევრს მიულოცა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ღირსეული გამარჯვება, მადლობა გადაუხადა ფეხბურთის ფედერაციას ღვაწლისთვის და ყველა იმ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში. ისაუბრა ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამაზე და განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ, ჩუღურეთის რაიონში, ნინოშვილის ქ.N48-ში ჩამოინგრა ავარიული სახლის კონკრეტული ნაწილი, რასაც მოსახლეობის მხრიდან მოჰყვა ძალიან დიდი პროტესტი და მიუხედავად იმისა, რომ მერიამ გამოყო თანხები ამ სახლის სრული რეაბილიტაციისთვის, მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულება მაინც არასწორია, რადგან მართალია, დადგა ის შედეგი რომ მუნიციპალიტეტმა იგრძნო პასუხისმგებლობა თავისი ვალდებულების ნაწილში და დააკმაყოფილა მოქალაქეთა ინტერესები, თუმცა, ეს შედეგი ვერ მივიღეთ საწყის ეტაპზე ანუ მოსახლეობის პროტესტამდე. განაცხადა, რომ საერთო ჯამში, პრობლემა არის ერთი - 10000-ზე მეტი ავარიული კორპუსი გვაქვს დედაქალაქში, განსაკუთრებით კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, რა მხრივაც გამორჩეულად მძიმე მდგომარეობაა მთაწმინდისა და ჩუღურეთის რაიონებში. აქედან გამომდინარე, მოუწოდა საკრებულოს წევრებს, რომ, რადგან არ არსებობს მონაცემთა საერთო ბაზა, გონივრული იქნება, იმსჯელონ წესის განსაზღვრაზე, თუ სად უნდა მოხდეს ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამით შემოსული თანხების აკუმულირება და რის მიხედვით მოხდება კონკრეტული ძეგლების და სახლების ჩანაცვლება, რათა სახელისუფლებო პარტიასთან დაახლოებულმა სამშენებლო სუბიექტებმა ეს პროგრამა არ გამოიყენონ დამატებითი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით.

ლევან არველაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ფეხბურთის ნაკრებმა მოიპოვა ისტორიული გამარჯვება და მადლობა გადაუხადა, როგორც ნაკრების ფეხბურთელებს, ასევე, ფეხბურთის ფედერაციას, ვეტერან ფეხბურთელებს და ყველა გულშემატკივარს. აქვე აღნიშნა, რომ მსგავსი თარიღები და ის ემოცია, რომელიც თითოეულმა ქართველმა მიიღო იმ დღეს, ახსენებს კოტე მახარაძის სიტყვებს: „წარმომიდგენია, რა ხდება ახლა თბილისში" და განაცხადა, რომ 26 მარტი არის ისტორიული სიხარულის მომტანი დღე, რომელიც შეიგრძნო ჩვენმა თაობამ. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „ამ დიდი ძალისხმევით და ერთობით, ჩვენ, აფხაზ და ოს ძმებთან ერთად, ვიცხოვრებთ ერთიან, ძლიერ საქართველოში".

ცოტნე კობერიძე შეუერთდა მილოცვებს და განაცხადა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ერთი თამაშიც კი ბევრად ფასეულია, ვიდრე რომელიმე სხვა წარმატება და არაფერი შეედრება იმას, რომ მოვხვდით ევროპის ჩემპიონატზე. ისაუბრა ლევან ჟორჟოლიანზე, რომელზეც აღნიშნა, რომ იყო გამორჩეული დეპუტატი, რომელიც დააკლდება

საკრებულოს, მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის და წარმატებები უსურვა. ასევე, წარმატებები უსურვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატს არჩილ გორდულაძეს და უსურვა, რომ მისი საქმიანობა ამ თანამდებობაზე იყოს ისეთივე წარმატებული, როგორიც იყო ლევან ჟორჟოლიანის. ცოტნე კობერიძე გამოეხმაურა „ქართული ოცნების" გუნდის განცხადებას, რომ თურმე, ჩვენს ქვეყანაში არ არის სიღარიბე, ფასების ზრდა და ინფლაცია და აღნიშნა, რომ ამ განცხადების შემდეგ, ხელისუფლებამ საპატრიარქოს გაუორმაგა დაფინანსება. აქედან გამომდინარე, რიტორიკული კითხვით მიმართა უმრავლესობის წევრებს: „მარტო ლექსუსის ჯიპები გაძვირდა ამ ქვეყანაში და მანქანების ნაწილები? თუ როგორ მოხდა, რომ საპატრიარქოსთვის ცხოვრება გაძვირდა და ხალხისთვის არა?" მისი თქმით, „ის მავნებლობა", რაც კონკორდატით გვაქვს, არის ამ ქვეყნის სირცხვილი, რადგან მოვდივართ ისეთი სეკულარული სახელმწიფოსგან, სადაც ჩვენი პირველი რესპუბლიკა მკვეთრად იყო გამიჯნული ეკლესიისგან და დღეს, მივიღეთ ქვეყანა, სადაც საპატრიარქოს მილიონებს ვუხდით იმ მოტივით, რომ საბჭოთა კავშირმა ზიანი მიაყენა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირმა ზიანი მიაყენა ეკლესიას და ის საპატრიარქო, რომელიც დღეს გვყავს, არის საბჭოეთის შექმნილი, რომელიც, მისი აზრით, არის რუსეთის მთავარი პროპაგანდისტი და სახელმწიფო მას უხდის იმ ხალხის ფულს, ვისაც საბჭოთა კავშირმა ცხოვრება გაუნადგურა. აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი არის „საარჩევნო ვაჭრობა" და განაცხადა: „მინდა მოვესწრო ისეთ ქვეყანას, სადაც ენას არ მოვიჩლექთ ამ საკითხებზე იმიტომ, რომ ყველამ ვიცით, რასაც ეხლა ვლაპარაკობ, არის სიმართლე... მინიმუმ სუსის ფაილებით მაინც იცის მთელმა ქვეყანამ რა ხალხზე გვაქვს საუბარი და რა ხალხს ვუხდით ფულს".

ირაკლი ეძგვერაძემ ყველას მიულოცა საქართველოს ფეხბურთის ნაკრების წარმატება, მადლობა გადაუხადა ფეხბურთელებს და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ამ დიდ გამარჯვებაში თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა და განაცხადა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ქართული ფეხბურთის გამარჯვება, ეს იყო ქართველი ერის გამარჯვება, რაც ძალიან სჭირდებოდა ჩვენს ხალხს. მისი თქმით, ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ შეგვიძლია ფეხბურთის თამაში და ეს უნდა იყოს იმის საწინდარი, რომ გაძლიერდეს ეროვნული ლიგა, რაშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციამ და ხელისუფლებამ არამედ, ასევე, კერძო სექტორმაც. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს და წარმატებები უსურვა შემდგომ ეტაპზე ასპარეზობისას.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ ყველა ერთად ვიყავით „ისტორიული დღის" მომსწრე და მონაწილე, მადლობა გადაუხადა საქართველოს ფეხბურთის ნაკრებს, მწვრთნელებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს „ისტორიული დღე" გახადა შესაძლებელი. მისი თქმით, ეს იყო ჩვენი ქვეყნის ერთიანობის გულწრფელი, უდიდესი დღესასწაული და კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ გვჭირდება გამარჯვებები და რამხელა ერთიანობის მოტანა შეუძლია ამ გამარჯვებებს ჩვენი ქვეყნისთვის. საბა ბუაძემ საქართველოს ფეხბურთის ნაკრების გამარჯვება მიულოცა საკრებულოს თითოეულ წევრს და კახა კალაძეს, რომელიც, მიუხედავად იმისა, თუ როგორ აფასებს მას, როგორც ქალაქის მერს, ქართული ფეხბურთის ისტორიაში იყო და არის „გამორჩეულად მაგარი ფეხბურთელი" და დარწმუნებულია, რომ მასაც და ქართული ფეხბურთის სხვა ვეტერანებსაც განსაკუთრებულად გაუხარდათ ეს უდიდესი გამარჯვება. საუბრის ბოლოს, განაცხადა: „ღმერთმა მოგვცეს იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი ქვეყნის გამარჯვებების მონაწილეები და შემქმნელები ვყოფილიყავით სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს ფეხბურთი თუ ნებისმიერი სხვა სფერო... ჩვენმა ქვეყანამ, სამწუხაროდ, დაივიწყა გამარჯვების ეს უტკბილესი გემო და შეგვეძლოს, რომ სხვადასხვა სფეროში გვეზეიმოს ესეთი უდიდესი სიხარული... გილოცავთ, კიდევ ერთხელ".

ირაკლი ნადირაძემ ყველას მიულოცა საქართველოს ფეხბურთის ნაკრების წარმატება და მადლობა გადაუხადა ფეხბურთელებს იმ ბედნიერებისთვის, რაც აჩუქეს ამ ქვეყნის შვილებს და განაცხადა, რომ ეს იყო დღე, როდესაც ყველა ერთნი ვიყავით, ვზეიმობდით ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას და ისურვა, რომ ქვეყანას ჰქონდეს ბევრი ასეთი წარმატება, ერთიანობა და

გამარჯვება. ასევე, ისურვა, რომ ჩვენი მოქალაქეები უცხოეთში მხოლოდ სამუშაოდ და ოჯახების სარჩენად კი არ მიდიოდნენ, არამედ, მიდიოდნენ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჩვენი ნაკრებების საგულშემატკივროდ. ისაუბრა ემიგრანტებზე და აღნიშნა, რომ საგანგაშო სტატისტიკაა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ არის შემცირებული ქვეყანაში შობადობა და რამდენი ადამიანი მიდის ქვეყნიდან, რომლებიც გაურბიან გაძვირებულ პროდუქტებს, მედიკამენტებს, საწვავს, კომუნალურ გადასახადებს და ზოგადად გაძვირებულ ცხოვრებას, უმუშევრობას და ბევრ სხვა პრობლემას, მათ შორის, სესხების, დაბალი პენსიების და სხვა საერთო ეროვნულ პრობლემებს, რომლებსაც ემატება ქალაქის პრობლემებიც, იქნება ეს საცობების, პარკირების თუ ავარიული კორპუსების მიმართულებით არსებული მდგომარეობა, რომელთა მოგვარების ნაცვლად, ვხედავთ, რომ საკრებულოს სხდომებზე კვლავ და კვლავ გამოდის საკითხები, რომლებიც ეხება მაგალითად, „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დეპუტატისთვის ფაქტობრივად საგადასახადო შეღავათს, კერძოდ, საკრებულოს წინა სხდომაზე წარმოდგენილი იყო საკითხი, რომელიც ეხებოდა „ქართული ოცნების" დეპუტატის, ბატონი სონღულაშვილის ძმის კომპანიას, რომელსაც უნდა გადაეხადა ცხრა მილიონი ლარი, თუმცა, მიმდინარე სხდომაზე გამოდის საკითხი, რომლის თანახმადაც ეს ადამიანი იხდის სამ მილიონ ლარს და განაცხადა, რომ გაუგებარია და მოსახლეობას აინტერესებს, თუ „სად დაიკარგა" ეს ექვსი მილიონი ლარი?"

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა ირაკლი ნადირაძის განცხადებას და აღნიშნა, რომ ის ცდილობს ადამიანებს უთხრას, თითქოს, რომელიმე კომპანია, ცხრა მილიონის ნაცვლად, იგივე გადაწყვეტილებაში იხდის სამ მილიონს, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სიმართლე და ეს თავადაც კარგად იცის, თუმცა, მისი ინტერესია გაავრცელოს ზედაპირული ინფორმაცია, რათა მოსახლეობა შეიყვანოს შეცდომაში. გადაწყვეტილება, რომელიც დღეს არის წარმოდგენილი განსახილველად, როგორც მიზანშეწონილობით, ასევე, სამართლებრივად და ურბანულად არის აბსოლუტურად სწორი, ხოლო რაც შეეხება წინა გადაწყვეტილებას, ის იყო ხარვეზიანი, რასთან დაკავშირებითაც დეტალური განმარტებები გააკეთეს, როგორც სამსახურის წარმომადგენლებმა, ასევე, საკრებულოს წევრებმა. აქედან გამომდინარე, მიმართა ირაკლი ნადირაძეს: „ამ საკითხს ნუ უკავშირებთ პოლიტიკას. მესმის, რომ ეს თქვენთვის დიდი ცდუნებაა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს არის ურბანული შინაარსის სწორად გამართული საკითხი და ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ საკითხს სამართლიანად დავუჭერთ მხარს".

რევაზ სოხაძე შეუერთდა მილოცვებს და ირაკლი ნადირაძის მიერ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ კოეფიციენტის გადამეტების დოკუმენტში, რომელზეც საუბრობდა ირაკლი ნადირაძე, კომპანიას უწევდა იმ კოეფიციენტის და ფართობის შესყიდვა, რომელიც მას უკვე აშენებული აქვს და ისედაც ეკუთვნოდა გაცემული სამშენებლო ნებართვით, რაც გარკვეულწილად არის, მათ შორის, კანონმდებლობის ხარვეზი და აქვს ინიციატივა, რომ სამომავლოდ შეიცვალოს კანონმდებლობა, რადგან ყველანაირ საღ აზრს მოკლებულია ნებისმიერი ინვესტორისგან არაგონივრული ხარჯის გაწევა. დღეს საკრებულოში წარმოდგენილია აბსოლუტურად სხვა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება 2009 წელს გაცემული გრგ-ს დავალების საფუძველზე და მისი დამტკიცება ხდება ზუსტად იგივე კოეფიციენტით, რაც იყო 2009 წელს. შესაბამისად, ის გადასახადი, რომელიც ახლა უწევს კომპანიას, არ არის კ2-ის მატების გადასახადი, ეს არის სპეციალური ზონალური შეთანხმების გადასახადი და გულისხმობს კომერციული ფართების საცხოვრებელ ფართებში გადაყვანას. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად არასწორი და არარელევანტურია ამ ორი ციფრის ერთმანეთთან შედარება, ხოლო ის გადაწყვეტილება, რომელიც უნდა მიიღოს საკრებულომ არის სამართლიანი და კანონმდებლობასთან შესაბამისი. აქვე აღნიშნა, რომ დღეს, კომისიის სხდომაზე განხილული იქნა ირაკლი ნადირაძის მიერ ხსენებული გრგ-ს ანალოგიური საკითხი, რომელიც არის „ლისი-ვერანდას" პროექტი, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს უკანასკნელი არის „ლელოს" დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის საკუთრება და არ უკავშირდება „ქართული ოცნების" რომელიმე დეპუტატს, არავის უხსენებია, რაც ძალიან უცნაური და მინიმუმ, უსამართლოა.

გიორგი ონიანმა სრულიად საქართველოს მიულოცა ის გამარჯვება, რომელიც დადგა ჩვენი ფეხბურთელების, გულშემატკივრის და თითოეული ქართველის გულის გასახარად და მათი დიდი ბრძოლის შედეგად. მისი თქმით, ამ გამარჯვების სიხარული კიდევ უფრო გააათმაგა ფეხბურთელების სიტყვებმა, სადაც პირდაპირ აცხადებდნენ, რომ „აფხაზეთი საქართველოა", „სამაჩაბლო საქართველოა" და „საქართველო ევროპაა", რაც იყო მათი მთავარი და ძალიან მნიშვნელოვანი „მესიჯი". გიორგი ონიანი გამოეხმაურა ირაკლი ხელაძის გამოსვლას, რომელმაც, ეროვნული გამარჯვების აღწერისას ისაუბრა იმაზე, რომ, თურმე, ადრე, ქართველი სპორტსმენები იმიტომ ვერ აღწევდნენ ასეთ წარმატებებს, რომ წყალი არ ჰქონდათ და მიმართა მას: „არასწორია, არ შეიძლება ასეთი ეროვნული გამარჯვებების დაყოფა. მაშინ, შეგახსენებთ, რომ 2011 წელს, ევროპის ჩემპიონატზე გავიდა საქართველოს კალათბურთის ნაკრები, რაშიც „ლომის წვლილი მიუძღვის" ვიქტორ სანიკიძეს, რომელიც დღეს თქვენს რიგებშია და შეგიძლიათ ჰკითხოთ მას, ჰქონდათ თუ არა წყალი და ჰქონდათ თუ არა ძალიან მაგარი მხარდაჭერა ყველასგან - გულშემატკივრისგანაც და აბსოლუტურად ყველასგან... ძალიან მაგრად გავიდნენ და ძალიან მაგრად ითამაშეს იქაც. გარდა ამისა, თუ გაინტერესებთ, სახელმწიფომ თავის თავზე აიღო და ახლაც კარგი იქნება, იგივეს თუ გააკეთებს, ხუთასი ჯარისკაცი წაიყვანა თავისი სახსრებით და იქ, ადგილზე, ლიტვაში გულშემატკივრობდნენ ნაკრებს ის ბიჭები... და ერთიც, ფეხბურთის ფედერაციაში, როდესაც არჩევნები იყო, მეორე ადამიანი, ვინც იბრძოდა პრეზიდენტის პოზიციისთვის, იყო არველაძე და არ მჯერა, რომ არველაძე რომ ყოფილიყო, რამეს დააკლებდა ან ამ ბიჭებს, ან ამ გამარჯვებას. ამიტომ, დაყოფა ეროვნული გამარჯვებების არის მცდარი გზა და გთხოვთ, ამ გზას ნუ დავადგებით". გიორგი ონიანმა ისაუბრა ლევან ჟორჟოლიანზე, რომელიც, მისი თქმით, არის პროფესიონალი და განაცხადა, რომ მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რომ გუნდი, რომელშიც არის ლევან ჟორჟოლიანი, ეფარებოდეს ლევან მურუსიძის კეთილსინდისიერებას. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თენგიზ ჭანია, ადამიანი, რომელიც დაბადებულია აფხაზეთში და მონაწილეობდა ყველა ომში, რომელიც საქართველოს ჰქონია, რამდენიმე დღის წინ, ოკუპანტებმა მოკლეს უკრაინაში და სურს, მის ოჯახს აღუთქვას, რომ ამ ადამიანის სახელი არ იქნება დავიწყებული.

მიხეილ კაკაურიძემ საქართველოს ფეხბურთის ნაკრების გამარჯვება მიულოცა სრულიად საქართველოს და ფეხბურთელებს, რომლებმაც გაიღეს ყველაფერი, იბრძოლეს და მიაღწიეს შედეგს. მისი თქმით, ეს არის ოცდაათწლიანი ბრძოლის შედეგი, რაც სტიმულს გვაძლევს ჩვენც, რადგან საქართველო, ზუსტად ოცდაათი წელია იბრძვის, რომ ამ ქვეყანაში დამკვიდრდეს დემოკრატია და სახელმწიფო ინსტიტუტები იყოს ისეთივე ძლიერი, როგორიც არის ევროპაში. მიხეილ კაკაურიძემ ისაუბრა თბილისის ბიუჯეტზე და განაცხადა, რომ წარმოუდგენელია ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდის თვალსაზრისით გათვალისწინებული იყოს მხოლოდ 25%, რადგან არაფინანსური აქტივებია: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია-მოვლა-შეკეთება, ტრანსპორტის განვითარება, საინჟინრო ნაგებობების ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა, საპტროექტო-საძიებო კვლევითი სამუშაოები, გარე განათების ქსელი, კეთილმოწყობის ღონისძიებები, ავარიული სახლების ჩანაცვლება, გამწვანების ღონისძიებები და ა.შ. და ამ მიმართულებით ზრდის ასეთი მაჩვენებელი მოწმობს იმას, რომ მერიაში დასაქმებული 5000 ადამიანი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას, მთავრობა რეალურად  დაკავებულია სოციალური ხასიათის დაფინანსებებით და ის საქმე, რომელიც რეალურია, ჩამოშლილია და ვერ ხერხდება მისი შესრულება. დღეს საკრებულოში წარმოდგენილია ბიუჯეტში ცვლილებები და ვდგავართ იმ ფაქტის წინაშე, რომ დღის წესრიგიდან მოხსნილია რუსთაველის რეაბილიტაცია, რომელიც დააანონსა ქალაქის მერმა და ზოგადად, გვაქვს ისეთი ტენდენცია, რომ ყოველწლიურად მომდევნო წლის ბიუჯეტში გადადის ქალაქისთვის სასიკეთო პროექტები და სამუშაოები, მათ შორის, 2020 წელს, კახა კალაძის მიერ დაანონსებული გლდანის პატარა ტბის რეაბილიტაცია, რომელიც გათვალისწინებული იყო შარშანდელ ბიუჯეტში, გადმოტანილია წლევანდელში და, სავარაუდოდ, გადავა 2025 წლის ბიუჯეტში. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შემუშავება რეალურად ხდება ნოემბრის თვეში და იმისთვის, რომ რაღაც მოვაგვაროთ, საჭირო

დღეიდან დაიწყოს ოპოზიციასთან თანამშრომლობა და კონკრეტული სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც რეალურად განსაზღვრავს საბიუჯეტო პარამეტრებს. საუბრის ბოლოს, შეეხო დღეს ქვეყანაში ოპოზიციის წინაშე არსებულ გამოწვევებს და განაცხადა, რომ აუცილებელია წელს ქვეყანაში ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები, ხოლო ამისთვის, თავის მხრივ, საჭიროა პარტიული გამსხვილებები და ამასთანავე, თითოეულმა გუნდმა თავის პარტიაში უნდა დაამკვიდროს შიდაპარტიული დემოკრატია, რათა რეალურად უპასუხოს ხალხის გამოწვევებს და საზოგადოებას შესთავაზოს ალტერნატივა, რომელიც დაფუძნებული იქნება ცოდნაზე, გამოცდილებაზე და არა რევანშზე.

ლილე ლიპარტელიანმა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების გამარჯვება მიულოცა ფეხბურთელებს, ყველა გულშემატკივარს, საკრებულოს თითოეულ წევრს, საქართველოს ყველა მოქალაქეს და განაცხადა, რომ ეს გამარჯვება უნდა გახდეს კიდევ უფრო დიდი გამარჯვების საწინდარი, რომელიც ყველამ ერთად უნდა ვიზეიმოთ.

ვახტანგ სურგულაძემ საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების გამარჯვება მიულოცა ყველას, აღნიშნა, რომ ძალიან უხარია საქართველოს ნაკრების წარმატება და დღეიდან, 26 მარტს ყოველთვის აღნიშნავს ისევე, როგორც აღნიშნავს 13 მაისს და განაცხადა, რომ თუ ქართველი ხალხი სულ ისე იქნება, როგორც იყო ორი დღის წინ, ყოველთვის გამარჯვებულები ვიქნებით.

ვლადიმერ ბოჟაძემ საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების წარმატება მიულოცა ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, ფედერაციას და ყველა იმ ადამიანს, ვინც დაუღალავი შრომით მოიტანა ეს გამარჯვება. ასევე, მიულოცა ქვეყანას და განაცხადა, რომ „ჩვენ უკვე ევროპაში ვართ და ის პირობა, რაც მივეცით ჩვენს მოქალაქეებს, ფეხბურთში უკვე შევასრულეთ და, რა თქმა უნდა, დანარჩენი მიმართულებითაც შევასრულებთ“. ვლადიმერ ბოჟაძემ ისაუბრა პარტია „ახალის“ შექმნაზე, რომელსაც, მისი აზრით, საარჩევნო ბარიერის გადალახვის შანსიც კი არ აქვს, რადგან ყველამ კარგად იცის, თუ რა წარსული აქვთ ამ პარტიის წარმომადგენლებს და არ და ვერ შესრულდება „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმა, რომ მისმა განაყოფებმა სხვადასხვა სექტორებიდან განაგრძონ ამ პარტიის ხაზის გატარება.

ნინო კვიტაიშვილი შეუერთდა საერთო განწყობას და მადლობა გადაუხადა საქართველოს ფეხბურთის ნაკრების ფეხბურთელებს ბრძოლისთვის, გამარჯვებისთვის და იმ შეგრძნებებისთვის, რაც ამ თამაშით აჩუქეს საქართველოს მოსახლეობას. მან წარმატებები უსურვა ზოგადად ყველა სპორტსმენს და განაცხადა, რომ სწორედ სპორტს და კულტურას გააქვს ქვეყნის სახელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. გამოეხმაურა ვლადიმერ ბოჟაძის გამოსვლას და მიმართა მას: „კარგია, რომ გაღელვებთ ჩვენი საკითხი, კარგია, რომ ამაზე საუბრობთ. ესე იგი, რაღაცით ბევრად მნიშვნელოვანი ვართ, ვიდრე თქვენ ეს გინდათ რომ იყოს. გარდა ამისა, მოდით, ყველამ საკუთარი წარსულის ანალიზით დაიწყეთ და შემდგომ აკეთეთ დასკვნები. დიახ, „ახალი“ წარმატებას მიაღწევს არჩევნებზე და დიახ, ლადო, თქვენი გუნდი გადაინაცვლებს ოპოზიციაში... ყველაფერს იტყვის ქართველი ხალხი ოქტომბერში - ვის რა შანსი აქვს, ვის დაუტოვებს პოლიტიკურ ასპარეზზე ყოფნის შანსს, ვის არ დაუტოვებს. მე კი ღრმად მჯერა, რომ ჩვენი წარმატება არის გარდაუვალი. ისაუბრეთ ჩვენზე, ისაუბრეთ „ახალზე“. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს - ჩვენ ვართ მნიშვნელოვანი ძალა“.

ოთარ გრიგოლიამ საქართველოს ფეხბურთის ნაკრების გამარჯვება მიულოცა ყველას და საკრებულოს წევრებს მადლობა გადაუხადა გამოსვლებისთვის, პოზიტიური ენერგიისთვის და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომაზე პირველად ხდება ის, რომ ყველა კარგ ხასიათზეა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ 2024 წელს ყველას მიულოცავს არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ჟორჟოლიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ გოგიტიძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-106 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით ($M_1$ კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის ($M_1$ კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „2018 წლის 27 ნოემბერს საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების და მის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, სასესხო შეთანხმების ხელმისაწვდომობის ვადის გახანგრძლივების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ბოდოკია

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი

11. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N134-ში არსებული 52.75 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.070.01.500) და 22.94 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.070.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის I შესახვევი N4-ში მდებარე 76.22 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.060.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლების I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.036) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელას დასახლება, კორპუსი N5-ში არსებული 88.83 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.02.07.369.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, 17 შინდისელი გმირის ქუჩა N9-ში არსებული 76.20 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.032) და 76.20 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.013.001.01.07.042) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 33.37 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.017) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N76-ში არსებული 37.39 უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002.01.521) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქ.თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ.N102-ში მდებარე N507 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.11.10.010.033.01.01.507) და ქ.თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N2ბ-ში მდებარე N32 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.14.05.008.154.01.01.032) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქ.თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ.N8-ში მდებარე N13 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.008.153.02.01.013) და ქ.თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N38 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.72.14.055.214.01.04.038) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქ.თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ.N8-ში მდებარე N15 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.17.10.008.153.02.01.015), ქ.თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ., I შესახვევი N2/

ვალენტინ თოფურიძის ქ.N15-ში მდებარე N17 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.10.10.020.214.01.01.017) და ქ.თბილისში, ტრიკოტაჟის ქ.N3/ვ.ნინუას ქ.N3-ში მდებარე N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.12.12.001.414.01.01.143) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქ.თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N2ბ-ში მდებარე N13 და N30 ბინების (მშენებარე) (ს/კ. N01.14.05.008.154.01.01.013;. N01.14.05.008.154.01.01.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N37 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.72.14.055.214.01.04.037) და ქ.თბილისში, ტრიკოტაჟის ქ.N3/ვ.ნინუას ქ.N3-ში მდებარე N22 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.12.12.001.414.01.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.N12-ში მდებარე N26 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.14.05.008.394.01.01.026) და ქ.თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივში, ზემო პლატო N19ა-ში მდებარე N61 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.19.20.005.031.01.01.061) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „ქ.თბილისში, კრწანისის I ჩიხი, N2ბ-ში მდებარე N3 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.18.06.018.104.01.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

31. „ქ.თბილისში, ტრიკოტაჟის ქ.N3/ვ.ნინუას ქ.N3-ში მდებარე N11 და N88 ბინების (მშენებარე) (ს/კ. N01.12.12.001.414.01.01.011; N01.12.12.001.414.01.01.088) და ქ.თბილისში, ილია სუხიშვილის ქ.N45-ში მდებარე N50 ბინის (მშენებარე) (ს/კ. N01.19.39.029.046.01.02.050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

32. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ძოწის ქუჩა N2-4-ში, N01.14.01.008.092; N01.14.01.008.093; N01.14.01.008.096 და N01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

33. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N75-79-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 1074 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.04.013.051) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ეკატერინე კაჭარავასთვის (პ/ნ. 62001005958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

34. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი

განკარგვის წესით თამაზ გოგობერიშვილისთვის (პ/ნ. 01006003711) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

35. „ქ.თბილისში, ანტონოვსკაიას ქ.N35ბ-ს მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.15.018.014) პირდაპირი განკარგვის წესით ირინა თაბორიძისთვის (პ/ნ. 01024022247) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

36. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აჩისთვის" (ს/ნ. 202911055) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

37. „ქ.თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.061.005) პირდაპირი განკარგვის წესით ვაჟა აბრამიშვილისთვის (პ/ნ. 01011025268) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

38. „ქ.თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2023 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

39. „ქ.თბილისში, მამია გურიელის ქ.N5ა-ში მდებარე ფართების (ს/კ. N01.14.15.001.300.03.03.005ა; N01.14.15.001.300.03.03.518) პირდაპი რი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ეკო სოკოსთვის (ს/ნ. 427726348) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

40. „ქ.თბილისში, გურამიშვილის გამზირი N15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ააიპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ. 204889282) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

41. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, N01.17.02.001.680 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 57573 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „კომპანია ჯაოკენი ბილდინგისთვის" (ს/ნ. 404566947), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „არეა დეველოპმენტს“ (ს/ნ. 405476872) შორის 2022 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული „ქ.თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.14.01.001.423 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 17173 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „არეა დეველოპმენტის“ (დღეის მდგომარეობით - შპს „დეკა ლისი“ - ს/ნ. 405476872) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2015 წლის 7 ივლისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე 53-15674 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

44. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუსს“ (ს/ნ. 405263646; უფლებამონაცვლე: შპს „ილიარდი“ (ს/ნ. 205278386)) შორის 2020 წლის 05 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-548-1-25622 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

45. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული Nე-492-6-24304 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

46. „2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა N4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

47. „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/ნ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

48. „ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, N01.19.20.025.110, N01.19.20.025.112, N01.19.20.025.114 და N01.19.20.025.072 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად 11008 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ლიტ ჯეო

ინვესტისათვის“ (ს/ნ. 243859749), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

49. „ქ.თბილისში, ბოჭორიშვილის ქ.37ა-ში (ს/კ. N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: არჩილ გორდულაძე

50. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: არჩილ გორდულაძე

51. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.055, ფართობი - 2145 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

52. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.37.017.047, ფართობი - 2102 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

53. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის N38-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.003.237, ფართობი - 6070 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

54. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალუბლების ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.108, ფართობი - 3682 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

55. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კოშკოვანის ქუჩა N26-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.005.002, ფართობი - 826 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

56. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.013, ფართობი - 8827 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

57. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ლილოს დასახლება, II მ/რ, კორპუსი N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება ლილო, სტურუას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.114, ნაკვეთი N2/20, ფართობი - 2113 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

58. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

59. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებლები: თეიმურაზ ბოლოთაშვილი
ვასილ აბულაძე
ოთარ ჩიტიძე

60. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა, IV მიკრო/რაიონში; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა, N22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.01.001.190; N01.14.01.001.116; N01.14.01.001.383; N01.14.01.001.403) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

61. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ვახტანგ თედიაშვილის ქუჩა, N9ა, N9ბ; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.497; N81.02.21.498; N81.02.01.360; N81.02.21.499; N81.02.01.381-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

62. „ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, N18-22 (ნაკვეთი N7/33), (ნაკვეთი N7/36), N22დ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.007.076; N01.18.12.007.075; N01.18.12.007.126; N01.18.12.007.093) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

63. „ქალაქ თბილისში, აკაკი გელოვანის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.210.023; N01.72.14.210.017; N01.72.14.210.013; N01.72.14.210.015; N01.72.14.210.018; N01.72.14.210.029; N01.72.14.210.024; N01.72.14.210.019; N01.72.14.210.022; N01.72.14.210.020; N01.72.14.210.021; N01.72.14.210.030; N01.72.14.210.025; N01.72.14.210.026;

N01.72.14.210.028; N01.72.14.210.031; N01.72.14.210.033; N01.72.14.210.027; N01.72.14.210.032; N01.72.14.210.034; N01.72.14.210.035; N01.72.14.210.036; N01.72.14.210.037; N01.72.14.210.038; N01.72.14.210.039; N01.72.14.210.040; N01.72.14.210.041; N01.72.14.210.008; N01.72.14.210.042; N01.72.14.210.014; N01.72.14.210.011; N01.72.14.210.009; N01.72.14.210.010; N01.72.14.210.016; N01.72.14.210.012) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

64. „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მე-3 მ/რ-ის გაგრძელებაზე (ნაკვ. 37/1); ქალაქი თბილისი, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა, N1, N3, N5, N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.13.037.001, N01.18.13.037.039, N01.18.13.037.038, N01.18.13.037.040, N01.18.13.037.061) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

65. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქუჩის II შესახვევი, N8, N6; ქალაქი თბილისი, დიღომი, ჩალიპირები; ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N76, N72; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ნაკვეთი 34/686-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.034.095; N01.72.14.034.100; N01.72.14.055.146; N01.72.14.034.686; N01.72.14.034.684; N01.72.14.034.537) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

66. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

45. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე 2019 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული №-492-6-24304 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია აუქციონის პირობის ცვლილება, კერძოდ, მუნიციპალიტეტმა ბაგებში, გაყიდა 965 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელსაც გააყოლა გრგ-ს განვითარების პირობა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი გაერთიანდა მიმდებარე არეალთან. კერძო მესაკუთრე, ფაქტობრივად, ერთი შენობის პრინციპით აპირებს განვითარებას და შესაბამისად, მიზანშეწონილია ხსენებული პირობის მოხსნა. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ამ შემთხვევაში არ არსებობს ფასთა შორის სხვაობა, რადგან თავის დროზე ეს პირობა გათვალისწინებული არ ყოფილა ღირებულებაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

46. „2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-582-1-26243 ხელშეკრულებაში" ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა N4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2021 წელს გამოცხადებული აუქციონის ფარგლებში, კომპანია „ალფა ფროფერთიმ“ მუნიციპალიტეტს უნდა გადასცეს 7000 კვ.მ., რაც განკუთვნილია კონკრეტული პირებისთვის, რომელთა რაოდენობაც ჯამში არის ას ოცდათექვსმეტი. დღეს რეალურად, ხდება სამოცდაშვიდი მათგანის დაზუსტება, თუ ვის რამდენი კვადრატული მეტრი ფართი უნდა გადაეცეს და ეს ინფორმაცია, ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა წარედგინოს კომპანიას, რათა მან დაიწყოს მოლაპარაკებები ამ პირებთან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

47. „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/ნ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება შპს „სასკოსთვის“ აუქციონის პირობის ცვლილებას, რომელიც უკვე განხორციელდა და პირობის ცვლილების სანაცვლოდ, კომპანიას, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებით, უნდა გადაეხადა 1098000 ლარი. კომპანიამ თანხა ვერ გადაიხადა მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ ვადაში და გადაიხადა ერთი თვის დაგვიანებით, თუმცა, ასევე, გადაიხადა ერთი თვის პირგასამტეხლოც. ამ ეტაპზე პროექტის წარმოდგენა გამოწვეულია იმით, რომ საკითხი გასწორდეს სამართლებრივად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

48. „ვარკეთილის მესამე მასივში მდებარე რიგი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების მიზნით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივში, N01.19.20.025.110, N01.19.20.025.112, N01.19.20.025.114 და N01.19.20.025.072 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად 11008 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ლიტ ჯეო ინვესტისათვის“ (ს/ნ. 243859749), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი მუშაობს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის, ერთ-ერთი არის პროგრამაში კერძო კომპანიების და ინვესტორების ჩართვა. ამ მიზნით, ვარკეთილის

მესამე მასივში გამოცხადებული იყო ინტერესთა გამოხატვა, რომელში გამარჯვებული კომპანია განახორციელებს ოთხი ავარიული კორპუსის ჩანაცვლებას 11008 კვ.მ.-ზე და ჯამში 9950 კვ.მ. ფართი გადაეცემა მუნიციპალიტეტს, ავარიულ კორპუსში მაცხოვრებელი პირებისთვის ახალი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის მიზნით. აქვე აღნიშნა, რომ კომპანიამ მშენებლობის ნებართვა უნდა აიღოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვეში, კორპუსები კარკასულ მდგომარეობაში უნდა მიიყვანოს ნებართვის აღებიდან 18 თვეში, ხოლო მშენებლობა დაასრულოს და ექსპლუატაციაში მიიღოს ნებართვის აღებიდან 30 თვეში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

49. „ქ.თბილისში, ბოჭორიშვილის ქ.37ა-ში (ს/კ. N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის" და შპს „რივერ საიდი 2023-ის" (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძემ და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, ბოჭორიშვილის ქ.N37-ში, 2021-22 წლებში გამოყენებული იქნა ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო შპს „ბოჭორიშვილსა" და შპს „ბოჟიტორის" მიმართ, თუმცა, ამ ობიექტზე დღემდე არ განხორციელებულა სამშენებლო სამუშაოები. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ცვლილება, რომლის თანახმადაც უქმდება აღნიშნულ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ხელშემწყობი ღონისძიებები გამოყენებული იქნება შპს „რივერ საიდი 2023"-ის მიმართ, კერძოდ, განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი განსაზღვრულია 51000 კვ.მ.-თი, რომლის ნაწილის - დაახლოებით 30000 კვ.მ.-ს გადატანა მოხდება კომპანიის მიერ სამომავლოდ წარმოდგენილ ალტერნატიულ მიწის ნაკვეთზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

50. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შპს „ათორის" დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულების საკითხი, რომელზეც საკრებულომ იმსჯელა 2023 წლის დეკემბერში, თუმცა, პროკურატურის წერილის თანახმად, გარკვეული დაზარალებული პირების მიმართ მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები, რომელთაგან ხუთი პირის მიმართ მიღებულია გადაწყვეტილება მათ სასარგებლოდ და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებით, დამატებულია ეს ხუთი პირი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

51. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.055, ფართობი - 2145 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, კრწანისის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.1-დან 2.4-მდე გადამეტების, რაც ნიშნავს ბოლო სართულის ტერასების შევსებას ანუ ნახევარი სართულის მომატებას და გადამეტებულ ფართზე, რომელიც შეადგენს დაახლოებით 600 კვ.მ.-ს, სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 408547.86 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

52. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.37.017.047, ფართობი - 2102 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N68-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3.5-დან 4.3-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც ნიშნავს 1682 კვ.მ. ფართის მომატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 538522.51 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

53. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის

გამზირის N38-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.003.237, ფართობი - 6070 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, მოსკოვის გამზირის N38-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.6-მდე გადამეტების, რაც ნიშნავს 6600 კვ.მ. ფართის მომატებას და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 1609556 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

54. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალუბლების ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.108, ფართობი - 3682 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ალუბლების ქუჩა N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.7-მდე გადამეტების, რაც ნიშნავს 4400 კვ.მ. ფართის მომატებას და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 1394274.72 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

55. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, კოშკოვანის ქუჩა N26-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.005.002, ფართობი - 826 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, კოშკოვანის ქუჩა N26-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც ნიშნავს ერთი სართულის, დაახლოებით 400 კვ.მ. ფართის მომატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 335330 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

56. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.013, ფართობი - 8827 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3.5-დან 4.0-მდე გადამეტების, რაც ნიშნავს დაახლოებით 4400 კვ.მ. ფართის მომატებას და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 2401105 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

57. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ლილოს დასახლება, II მ/რ, კორპუსი N5-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება ლილო, სტურუას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.114, ნაკვეთი N2/20, ფართობი - 2113 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული მხარე, ლილოს დასახლება, II მ/რ., კორპუსი N5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.9-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც ნიშნავს დაახლოებით 2900 კვ.მ. ფართის მომატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 462257.60 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

58. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032405351-03 თარიღი: 22.02.2024, N12-03240601-03 თარიღი: 29.02.2024, N12-032406070-03 თარიღი: 29.02.2024, N12-032406768-03 თარიღი: 07.03.2024, N12-032406769-03 თარიღი: 07.03.2024, N12-032407443-03 თარიღი: 14.03.2024, N16-0324082139-03 თარიღი: 22.03.2024, N12-032408772-03 თარიღი: 27.03.2024, N12-03231178-03 თარიღი: 27.04.2023 (განსახილველად წარმოდგენილია „ა“ პოზიცია), N12-03230963-03 თარიღი: 06.04.2023 (განსახილველად წარმოდგენილია „პ“ პოზიცია) და N12-0324031231-03 თარიღი: 31.01.2024 (განსახილველად წარმოდგენილია „ა“ პოზიცია), რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032406768-03 წერილით წარმოდგენილი „გ“ პოზიცია, N12-032407443-03 წერილით წარმოდგენილი „ა“ პოზიცია, N16-0324082139-03 წერილით წარმოდგენილი „მ“ პოზიცია და N12-032408772-03 წერილით წარმოდგენილი „ბ“ პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და საკრებულოს კომისიების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

59. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინეს არქიტექტურის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ ბოლოთაშვილმა და ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ვასილ აბულაძემ და ოთარ ჩიტიძემ. თეიმურაზ ბოლოთაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ძირითადად ეხება პრაქტიკაში წარმოჩენილ საკითხებს, კერძოდ: ერთ მიწის ნაკვეთზე, ერთზე მეტი სხვადასხვა ფუნქციური ზონის არსებობის შემთხვევაში, უფრო მაღალი ინტენსივობის ზონის არეალში შესაძლებელი იქნება განთავსდეს შენობა, რომლის კ2 საანგარიშო ფართის განსაზღვრა მოხდება მისივე მიწის ნაკვეთის შედარებით პატარა ინტენსივობის ფუნქციური ზონის პარამეტრების დამატებით; კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის გარდა, მცირედით იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრები და 15 მეტრის ნაცვლად, იქნება 16 მეტრი, ამასთანავე, საცხოვრებელ ზონა 3-ში არ ხდება შეწეული სართულების მოწყობა. ამასთანავე, ცვლილებებით წარმოდგენილია გარკვეული დაზუსტებები, რაც ხორციელდებოდა პრაქტიკაში, თუმცა, დადგენილებაში მითითებული არ იყო. ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია საშუალო და მაღალი ინტენსივობის ფუნქციური ზონირების ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების დაწესება, რაც გულისხმობს მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონით გათვალისწინებულ ღირებულებასა და საპროექტო ფუნქციური ზონირებით გათვალისწინებულ საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის გადახდას, რაც შეადგენს 30%-ს. აღნიშნული ცვლილება არ გავრცელდება სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულ უძრავ ქონებაზე, სადაც გადასახდელი იქნება ფასთა შორის სხვაობა 100%-ით და ამ ეტაპზე, გავრცელდება მხოლოდ და მხოლოდ სამრეწველო ზონა 1-ზე, სამრეწველო ზონა 2-ზე, სპეციალურ ზონა 1-ზე, სპეციალურ ზონა 2-ზე და სპეციალურ ზონა 3-ზე. ზემოაღნიშნული ფუნქციური ზონირების ცვლილება განხორციელდება ქალაქგეგმარებითი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე და შემდგომში, მსჯელობის საგანი გახდება, თუ რა ზონის ცვლილებები შეიძლება მოექცეს ამ რეგულაციაში. ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ

საკანონმდებლო სივრცეში გათვალისწინებული არ იყო სპეციალური დაცული სადგომი, თუმცა, ამ ეტაპზე, შეტანილია საკანონმდებლო სივრცეში და შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა სპეციალური დაცული სადგომის გათვალისწინება კანონქვემდებარე აქტშიც. სპეციალურ სადგომებს იყენებენ შინაგან საქმეთა სამინისტრო და ის უწყებები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი აქვთ სატრანსპორტო საშუალებებზე საჯარიმო სანქციის დადება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს სპეციალური სადგომის განსაზღვრებას და მის მოწყობას ნებისმიერ ზონაში.

მიხეილ კაკაურიძე დაინტერესდა, თუ რატომ გამოიყო ხსენებული ზონები და რატომ არ იქნება მაკომპენსირებელი თანხა საცხოვრებელ ზონებს შორის სხვაობებისას. ასევე, დაინტერესდა, თუ როგორ მოხდება იმის განსაზღვრა, რომ ამა თუ იმ ტერიტორიაზე, 2009 წლამდე, ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ პირველ ეტაპზე შერჩეული იქნა ის ზონები, რომლებიც უმეტესწილად წარმოადგენს ე.წ. „ბრაუნფილდებს", რომლის მიმდებარედ არის მოთხოვნა განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებაზე. ასევე, გვხვდება ისეთი ტერიტორიები, როგორებიც არის მაგალითად, წერეთლის გამზირის მიმდებარე ტერიტორიები, რომლებსაც ადევს სამრეწველო ზონა, თუმცა, რეალურად, სამრეწველო განაშენიანება მიზანშეწონილი არ არის ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით. ხოლო, შემდეგ, შესწავლის შედეგად, ვნახავთ სხვა ზონირებებიც მოხვდება თუ არა ამ რეგულაციაში. საცხოვრებელი ზონების ცვლილებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საუბარია დიდ ტერიტორიებზე, სადაც უმეტესწილად ხდება ზოგადი საცხოვრებელი ზონების დაზუსტება თუ რომელი უნდა გავრცელდეს - საცხოვრებელი ზონა 3, საცხოვრებელი ზონა 4, საცხოვრებელი ზონა 5 თუ საცხოვრებელი ზონა 6.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

60. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა, IV მიკრო/რაიონში; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა, N22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.01.001.190; N01.14.01.001.116; N01.14.01.001.383; N01.14.01.001.403) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 14000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

61. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ვახტანგ თედიაშვილის ქუჩა, N9ა, N9ბ; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.497; N81.02.21.498; N81.02.01.360; N81.02.21.499; N81.02.01.381-ის ნაწილი) და მიმდებარე

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 12000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ათი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

62. „ქ.თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, N18-22 (ნაკვეთი N7/33), (ნაკვეთი N7/36), N22დ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.007.076; N01.18.12.007.075; N01.18.12.007.126; N01.18.12.007.093) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 10000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 15

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

63. „ქალაქ თბილისში, აკაკი გელოვანის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.210.023; N01.72.14.210.017; N01.72.14.210.013; N01.72.14.210.015; N01.72.14.210.018; N01.72.14.210.029; N01.72.14.210.024; N01.72.14.210.019; N01.72.14.210.022; N01.72.14.210.020; N01.72.14.210.021; N01.72.14.210.030; N01.72.14.210.025; N01.72.14.210.026; N01.72.14.210.028; N01.72.14.210.031; N01.72.14.210.033; N01.72.14.210.027; N01.72.14.210.032; N01.72.14.210.034; N01.72.14.210.035; N01.72.14.210.036; N01.72.14.210.037; N01.72.14.210.038; N01.72.14.210.039; N01.72.14.210.040; N01.72.14.210.041; N01.72.14.210.008; N01.72.14.210.042; N01.72.14.210.014; N01.72.14.210.011; N01.72.14.210.009; N01.72.14.210.010; N01.72.14.210.016; N01.72.14.210.012) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ

და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 43000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ოცდათოთხმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

64. „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში მე-3 მ/რ-ის გაგრძელებაზე (ნაკვ. 37/1); ქალაქი თბილისი, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა, N1, N3, N5, N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.18.13.037.001, N01.18.13.037.039, N01.18.13.037.038, N01.18.13.037.040, N01.18.13.037.061) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

65. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქუჩის II შესახვევი, N8, N6; ქალაქი თბილისი, დიღომი, ჩალიპირები; ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N76, N72; ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ნაკვეთი 34/686-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.034.095; N01.72.14.034.100; N01.72.14.055.146; N01.72.14.034.686; N01.72.14.034.684; N01.72.14.034.537) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 7800 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

66. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 8000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება შვიდი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

67. „ქალაქ თბილისში, ალ.წულუკიძის ქ.N21-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის (საყოფაცხოვრებო კომერციული ფართით) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 15 მაისის N1050 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება 18000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, სადაც იცვლება პროცენტული თანაფარდობა და საცხოვრებელ ფუნქციას 75%-ის ნაცვლად დაეთმობა 80%, ხოლო საზოგადოებრივ ფუნქციას 25%-ის ნაცვლად დაეთმობა 20%.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

68. „ქ.თბილისში, დიდი დიღმის II მიკრო/რაიონში, ი.პეტრიწისა და დ.თავდადებულის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის N93 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია საკადასტრო საზღვრების ცვლილება ფართის უცვლელად. და ასევე, უცვლელი რჩება სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

69. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6 და N6ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.05.029.167; N01.11.05.029.168; N01.11.05.029.212) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N387 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ითვალისწინებს ერთ სექტორში 170 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დამატებას ნულოვნი კ2 კოეფიციენტით და მისი მაჩვენებელი 3.7-ის ნაცვლად, დაფიქსირდება 3.2.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

70. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.006.197; N01.10.18.006.142) საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საბავშვო ბაღი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N414 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია საკადასტრო ერთეულების საზღვრების ცვლილება და სექტორ 8-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სართულიანობის დაზუსტება, კერძოდ, ცხრა სართულის ნაცვლად იქნება თერთმეტი სართული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

71. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N141 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 62000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია სექტორების გამიჯვნა და შენობა-ნაგებობების განთავსების ცვლილება, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

72. „ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა N9, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60), აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N102, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100, 100ა მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.02.004.121; N01.13.02.004.154; N01.13.02.004.020; N01.13.02.004.169) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N156 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია ორი სექტორის გაერთიანება და ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება, სადაც 90% დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 10% - საზოგადოებრივ ფუნქციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 16

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

73. „ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა N8-ში (ნაკვ. 23/010); (ნაკვ. 23/011); (ნაკვ. 23/012) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.023.070; N01.17.12.027.045; N01.17.12.023.082; N01.17.12.023.083; N01.17.12.023.075; N01.17.12.023.077; N01.17.12.023.078; N01.17.12.023.074; N01.17.12.023.073; N01.17.12.023.079; N01.17.12.023.076) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N308 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია არეალის შემცირება 2096 კვ.მ.-თი, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

74. „ქ.თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, აგლაძის ქ. N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი (საშუალო (სსზ-1) და მაღალი (სსზ-2) ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა) და საცხოვრებელი (მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა სზ-4) კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 16 ივნისის N01/754 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, კ2 კოეფიციენტი 4.0-ით, განთავსდება კომპლექსი, რომლის 81% დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 19% - საზოგადოებრივ ფუნქციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

75. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.961; N81.02.21.509 N81.02.21.962; N81.02.21.508; N81.02.21.506; N81.02.21.593; N81.02.21.592; N81.02.01.692; N81.02.21.180; N81.02.21.222; N81.02.21.722; N81.02.21.221; N81.02.94.946; N81.02.21.537; N81.02.21.179; N81.02.21.772; N81.02.01.381-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N654 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 45000 კვ.მ. ცვლილებით წარმოდგენილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის გათვალისწინებული გზის კორექტირება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

76. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა N36ა, N30, N34, N32, N38, N36-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, N 17ა, N17, N15, N7-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება 1-ლი, ქუჩა N13; ქალაქი თბილისი, ზურაბ ჩაჩუას ქუჩა, N21, N11დ, N 23ა, N27ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.001.530; N01.19.36.001.123; N01.19.36.001.529; N01.19.36.001.217; N01.19.36.001.176; N01.19.36.001.013; N01.19.36.001.177; N01.19.36.001.152; N01.19.36.001.535; N01.19.36.001.171; N01.19.36.001.511; N01.19.36.001.510; N01.19.36.001.163;

N01.19.36.001.037; N01.19.36.001.162) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 5400 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ორი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საბა ბუაძემ დააფიქსირა მოსაზრება, რომ წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების არეალი, რომელიც მდებარეობს მეტროსთან, არასწორად არის განსაზღვრული, რადგან ასეთი „დაჩეხილი ფორმით" წარმოდგენილი არეალი არის იმის დადასტურება, რომ აქ არ არსებობს მუნიციპალიტეტის ინტერესი და განსაკუთრებული დაინტერესებაა ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კომპანია „აპექს დეველოპმენტი", რომელიც წარსულში დაკავშირებულია ძალიან „ხმაურიან გადაწყვეტილებებთან", იგივე ქუჩაზე, ახორციელებს კიდევ ერთ პროექტს და ეს ორი პროექტი ერთად, ფაქტობრივად, ვარკეთილში ქმნის უპრეცედენტო განაშენიანების სიმაღლეს, რაც არის შეცდომა, არასწორი და იქ არსებული ურბანული ქსოვილიდან სრულიად ამოვარდნილი გადაწყვეტილება. აქ არსებობს კონკრეტული ინტერესი და სამწუხაროა, რომ ამ ინტერესს, ვერც თბილისის მერიაში და ვერც საკრებულოში ვერავინ ხედავს და განვიხილავთ ისეთ პროექტს, რომელიც ქალაქისთვის არის ძალიან საზიანო და ძალიან ცუდი კონკრეტულად ვარკეთილისთვის და სამგორის რაიონის მოსახლეობისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

77. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.17.952, N72.16.21.076; N72.16.21.789; N01.72.16.094.005-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 12000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ცხრა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

78. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.180; N01.19.36.014.181) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 5000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ორი

მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

79. „ქალაქ თბილისში, წინანაურის ქუჩა N83; ქალაქი თბილისი, წინანაურის ქუჩა, N 103; ქალაქი თბილისი, წინანაური N83 -ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა, N36, N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.003.112; N01.18.01.003.111; N01.18.01.003.134; N01.18.01.003.108; N01.18.01.003.073; N01.18.01.003.068; N01.18.01.003.075; N01.18.01.003.117; N01.18.01.003.132; N01.18.01.003.050; N01.18.01.003.053; N01.18.01.003.125; N01.18.01.003.074) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 5000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

80. „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს (ნაკვ. 01/010) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.17.001.222; N01.14.17.001.237) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 46000 კვ.მ., სადაც, არსებული ზონირების - საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, დაგეგმილია დაბალი ინტენსივობის, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

81. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.014.968) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19

ოქტომბრის N513 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილებით ემატება 3701 კვ.მ., სადაც საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ერთი მრავალფუნქციური და ორი მრავალბინიანი შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

82. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის წლიურ ანგარიში (2023 წლის 28 იანვრიდან 2024 წლის 28 იანვრის ჩათვლით)“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილმა (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 8 დადგენილება და 73 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი